## სარჩევი


რა არის ახალი ..... 2

B2C-სთან ინტეგრაციის მოდული ..... 2

ზოგადი აღწერა ..... 2

B2C-სთან ინტეგრაციის მოდული ..... 3

„როგორ გამოვიყენოთ ვებ-სერვისებით გაცვლაში ნომენკლატურის ფილტრი“ ..... 5

მომწოდებლის შეკვეთები ..... 5

გასწორებული შეცდომები ..... 7

სხვა მოდიფიკაციები ..... 7

# ბალანსის რელიზი_1.3.3.7

06.04.2023

## რა არის ახალი

### B2C-სთან ინტეგრაციის მოდული

**ზოგადი აღწერა**

პროგრამაში დაიხვეწა ვებ-სერვისებთან ინტეგრაციის ფუნქციონალი და დაემატა B2C-სთან ინტეგრაციის მოდული.

ფუნქციონალი შეგიძლიათ იხილოთ ადმინისტრირების მოდულში, მონაცემთა სინქრონიზაციის აწყობების ჩანართში.

Web-Service-ების საშუალების მონაცემთა ექსპორტის ალმის გააქტიურების შემდეგ თქვენ იხილავთ ორ ახალ აიქონს

-ზოგადი ინტეგრაციების აწყობა

-B2C-სთან ინტეგრაციის აწყობა




ინტეგრაციების ამგვარი დაყოფა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს კონკრეტული ინტეგრაციის ფარგლებში სხვადასხვა აწყობა გამოიყენოს, მაგალითად: სხვადასხვა ძებნის პარამეტრები, სხვადასხვა გაცვლის კვანძები, ფასებისა და ნაშთების გაცვლის შეზღუდვები, ასევე მომხმარებელს საშუალება აქვს ინტეგრაციის ფარგლებში გაფილტროს ნომენკლატურა (გთხოვთ იხილოთ: „როგორ გამოვიყენოთ ვებ-სერვისებით გაცვლაში ნომენკლატურის ფილტრი“)

! იმისათვის რომ გამოვიძახოთ B2C-სთან ინტეგრაციის ფუნქციონალში დაფიქსირებული აწყობები, ამისათვის საჭიროა შესაბამისი პარამეტრის გადაცემა (Key: Source/ Value: B2C), იმ შემთხვევაში თუ არ იქნა გადაცემული წყაროს პარამეტრი, ვებ-სერვისებთან ინტეგრაცია პასუხს დააბრუნებს ზოგადი ინტეგრაციის აწყობების შესაბამისად.

### B2C-სთან ინტეგრაციის მოდული

B2C-სთან ინტეგრაციის მოდულის გასააქტიურებლად საჭიროა დააკლიკოთ აიქონს B2CGE , რის შემდეგაც გაიხსნება ფუნქციონალის ფანჯარა.




მას შემდეგ რაც გააქტიურებთ ალამს „ B2C-სთან ინტეგრაცია“, ბაზაში შეიქმნება ახალი შეზღუდული როლის მქონე მომხარებელი და დაგენერირდება შესაბამისი პაროლი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ინტეგრაციებთან აუტენთიფიკაციის გავლა. დაგენერირებული მომხმარებლის და პაროლის ხილვას კი შეძლებს მხოლოდ ადმინისტრატორის როლის მფლობელი მომხმარებელი თვითონ ინტეგრაციის აწყობების ფუნქციონალში. ( ასევე შესაძლებელია მომხმარებლის და პაროლის შეცვლა, თვითონ მომხმარებლის ბარათიდან)

B2C-სთან ინტეგრაციის აწყობების ფუნქციონალს შემდეგი სახე აქვს:



1. URL_ვებ-სერვისის გამოძახებისთვის დაგენერირებული URL

თუ ვებ-სერვისის გამოძახება ხდება ლოკალური სერვერზე არსებული ფაილური ბაზით მაშინ URL-ს აქვს შემდეგი ფორმატი:

<ServerIPaddress>/Balance_Exchange/hs/Exchange/<URLtemplate>

დაპაბლიშებული ბაზის სახელი უნდა იყოს: Balance_Exchange

<ServerIPaddress> - სერვერის მისამართი, სადაც ხდება ბალანსის ბაზის პუბლიკაცია.

<URLtemplate> - აღნიშნავს გაცვლის ობიექტს.

იმ შემთხვევაში თუ ვებ-სერვისების გამოყენება ხდება Cloud-ზე განთავსებულ ბაზასთან ვებ-სერვისის გამოძახებისთვის URL-ს აქვს შემდეგი ფორმატი:

https://cloud.balance.ge/sm/o/Balance/<ApplicationID>/hs/Exchange/<URLtemplate>

<ApplicationID> - ქლაუდზე არსებული ბაზის დანაყოფის ოთხციფრა ნომერი.

<URLtemplate> - აღნიშნავს გაცვლის ობიექტს.

ვებ-სერვისებთან ავტორიზაცია ხდება Basic ავტორიზაციით.

2. **მომხმარებელი**_ ინტეგრაციისთვის შექმნილი მომხმარებლის სახელი

3. **პაროლი**_ ინტეგრაციისთვის შექმნილი მომხმარებლისთვის დაგენერირებული პაროლი

! ინტეგრაციისთვის შექმნილი მომხარებელს არ აქვს თხელი კლეინტის გახსის უფლება.

ინტეგრაციის აწყობების ფუნქიცონალში განთავსებულია ორი ჩანართი:

- მთავარი
- საქონელი

4. მთავარ ჩანართში თქვენ შეძლებთ ინტეგრაციისთვის საჭირო აწყობების მოდიფიკაციას სურვილისამებრ.

! გახსოვდეთ: იმისათვის რომ გამოვიძახოთ B2C-სთან ინტეგრაციის ფუნქციონალში დაფიქსირებული აწყობები, ამისათვის საჭიროა შესაბამისი პარამეტრის გადაცემა (Key: Source/ Value: B2C), იმ შემთხვევაში თუ არ იქნა გადაცემული წყაროს პარამეტრი, ვებ-სერვისებთან ინტეგრაცია პასუხს დააბრუნებს ზოგადი ინტეგრაციის აწყობების შესაბამისად.

5.საქონელის ჩანართი_ ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელებს საშუალებას აძლევს ინტეგრაციის ფარგლებში გაფილტროს ნომენკლატურა.

**„როგორ გამოვიყენოთ ვებ-სერვისებით გაცვლაში ნომენკლატურის ფილტრი“**

ნომენკლატურის ფილტრის მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ბაზაში არსებული ნომენკლატურათაგან გაცვალოს მხოლოდ მისთვის საჭირო ნომენკლატურა. არსებული ფუნქციონალი ხელსაყრელი იქნება მათთვის ვინც თავიანთ საქმიანობას ახორციელებს რამოდენიმე იკომერს პლატფორმაზე და სურვილი აქვს ინტეგრაციების ფარგლებში გაყოფილი ჰქონდეს გასაცვლელი ნომენკლატურები. ფილტრის გააქტიურება არის შესაძლებელი ინტეგრაციის აწყობების ფორმიდან:




გაფილტვრა შესაძლებელია როგორც ცალკეული ნომენკლატურის ასევე ნომენკლატურის ჯგუფების მიხედვით.

ფილტრში ჯგუფის ჩასაგდებათ საჭიროა გამოიყენოთ აიქონი , ხოლო ცალკეული ნომენკლატურის ჩასაგდებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ტიპიური შერჩევის ფუქნციონალი.

## მომწოდებლის შეკვეთები

ბალანსის მიმდინარე რელიზში დაემატა მიღებული სასაქონლო ზედნადების დამუშავებაში მომწოდებლის შეკვეთის მითითების შესაძლებლობა, რაც საშუალებას იძლევა მომწოდებლის შეკვეთების კონტროლის.

დამუშავებაში შეკვეთის მითითება დაემატა შევსება ღილაკის ჩამონათვალში, შევსება -> შეკვეთა მომწოდებელს -> შევსება:

შევსების შემდეგ დამუშავებაში გამოვა შეკვეთების ფორმა, სადაც შესაძლებელია კონკრეტული შეკვეთის არჩევას. არჩევის სიაზე მისაწვდომია მხოლოდ არჩეული მომწოდებლის ღია და ნაწილობრივ მიწოდებული სტატუსის შეკვეთები

შეკვეთის არჩევის შემდგომ, მიღებული სასაქონლო ზედნადების დამუშავების ცხრილურ ნაწილში დაემატება ახალი სვეტები - რაოდენობა (შეკვეთა), ფასი (შეკვეთა), შეკვეთა მომწოდებელს:




აღნიშნული სვეტებით იდენთიფიცირდება შეკვეთაში არსებული რაოდენობის და ფასის განსხვავება ხედნადებში არსებული რაოდენობისგან და ფასისგან. თუ შესყიდვის კონკრეტული პროდუქციის რაოდენობა და ფასი განსხვავდება შეკვეთაში არსებულ რაოდენობისგან და ფასისგან აღნიშნული სტრიქონი გაწითლდება. გატარებული შესყიდვის დოკუმენტს ცხრილურ ნაწილში გაყვება დამუშავებაში მითითებული შეკვეთის დოკუმენტი, ასევე აისახება დოკუმენტის დაქვემდებარებულ სტრუქტურაში

## გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია აქციზური საქონლის დაბრუნებისას გაყიდვების რეპორტში ამონაგების გატარების ხარვეზი
- გასწორებულია კომერციული შეთავაზების დოკუმენტში დღგ-ის დათვლისა და საფუძველ დოკუმენტში გადავსების ხარვეზი
- გასწორებულია 1-გან განსხვავებულ ჯერადობიან ვალუტაში საწყისი ნაშთის დასმის ხარვეზი
- გასწორებულია ვებ-სერვისებით რეალიზაციის კორექტირების შექმნისას დღგ-ის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია განბაჟებულ საქონელზე შესყიდვის ფასის კორექტირების გატარების ხარვეზი
- გასწორებულია საწყობის ღირებულებითი შეფასების რეპორტში მარჟის დათვლა

## სხვა მოდიფიკაციები

- დაემატა საბანკო ბარათით გადახდის ოპერაციის ვებ-სერვისებით გაცვლა
- მიღებული ზედნადებების დამუშავებაში შეკვეთა მომწოდებლის მითითების შესაძლებლობა
- ბრუნვითი უწყისის ჩაშლის შესაძლებლობა სხვადასხვა პერიოდულობით